13
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიუანგი

№ 19 თბილისი ოქტომბერი 1961
გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კაპ.

ნახ. გ. თოთიბაძისა

პატარა მგზავრი

საწყალი ბიძაჩემი ხახულის საფლავის ღობის გაგზავნა მინდო-და ლანჩხუთში (საუკუნო სასუფეველი დაემკვიდროს ცხონებულს). სევ-ჯერ კიდევ წვერმოშვებულს და დათალხულს, ბოღმიანსა და დიანს, დანა პირს არ მიხსნიდა. ვიჯექი მანქანის ძარაზე პირმოკუ-მული და რკინის მოაჯირს მდუმარედ დავყურებდი.

თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურში ჩემი გამოჩენისას რომ ყვირილი ატყდა, ისეთი თვითონ ხახულის გარდაცვალების ჟამს არ ატეხილა.

— ხელი არ ახლო!.. მე შენ გეუბნები, ხელი არ ახლო!..

— ისეთს ჩაგცხებ მაგ გოგრაში, რომ ფულის აღების გემო და-გეკარგოს!

კარგა ხნის გაწევ-გამოწევისა და ლანძღვა-გინების შემდეგ, თბილისის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის მუშებმა გაი-მარჯვეს სატვირთო სადგურის მუშებზე: ესტატე არაქელოვმა და გრიშა დემიანოვმა მოჩხუბართა რკალი გაარღვიეს და ჭირისუფ-ლებივით ამომიდგნენ მხარში.

ესტატე და გრიშა საქმეს შეუდგნენ, მანქანიდან რკინის ღობის გვერდულები № 14 საწყობში შეზიდეს და ტკბილი საუბარი გაა-ბეს:

— აი, გრიშა, მიყვარს ასეთი ახალგაზრდები, უფროსების პა-ტივისმცემლები და ზრდილობით აღსავსენი... აქეთ მობრძანდით და აი ამ სკამზე დაბრძანდით, ბატონო.

— დიდი მადლობელი ვარ.

კეთილშობილი და ზრდილობიანი მუშები მხარში ამომიდგნენ, ხელკავი გამიკეთეს და მწონავი არტაშა მაზმიშვილის გვერდით დამსვეს.

— ეეხ... განა ყველა ასეთი ზრდილობიანია, — ჩაილაპარაკე დათუთქულმა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, — გამომეპასუხა № 12 საწ-ყობის მწონავი მურადოვი, — ჩვენთან რომ დატვირთვა-გადმო-ტვირთვის მუშები მუშაობენ, ისეთებს სად ნახავთ? ზრდილობის სკოლა აქვთ დამთავრებული.

ზრდილობის სკოლადამთავრებულმა მუშებმა მანქანა დააცარიე-ლეს და ისევ გვერდში ამომიდგნენ:

— მოხუცებული იყო საცოდავი ბიძათქვენი, პატივცემულო?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, სამოცს არ იყო გადაცილებუ-ლი.

— ოოხ... ეგ რა მითხარით, — ამოიოხრა ესტატე არაქელოვმა და რატომღაც თავის ამხანაგს თვალი ჩაუკრა.

— დიდი მადლობა თანაგრძნობისათვის, ამხანაგებო, დიდი მად-ლობა. — ორივე მუშას ხელი ჩამოვართვი და ესტატე არაქელოვს ჯიბეში ერთი მანეთი ჩავუდე... საწყობიდან ჯერაც არ ვიყავი გა-სული, რომ მუშებმა გზა გადამიჭრეს და კარებზე აიტუზნენ.

— ერთი აგვიხსენი, მეგობარო, ეს რა არის?

— ერთი მანეთი!

— არა, მართლა?!

— დიახ, ერთი მანეთი...

— მერე ერთი მანეთით გინდა გაისტუმრო ბიძაშენის ვალი საი-ქიოს?..

— ტვირთის გადასატვირთავი ოცდაათი კაპიკი სადგურის სა-ლაროში გადავიხადე, ერთი მანეთიც ხელზე გაჩუქეთ, მეტი არა მაქვს, ბიძას გეფიცებით!

— წადი, შენი ბიძის საფლავიც... შე უსინდისოვ, შე ძუნწო და ოხერო... მეტი ფული თუ არა გქონდა, თბილისის სატვირთო სად-გურში რას მოდიოდი?!

— ერთი ამას უყურე, ამ გლახას, ერთი მანეთიო, აბა ახლავე 5 მანეთი დაყაჭე, თორემ ბიძაშენის საფლავი კი არა, შენი საფ-ლავი გახდება მოსავლელი.

— მეტი არა მაქვს, სინიდისს გეფიცებით.

— არა მაქვსო! აბა, გრიშა, ერთი ჩვენებურად დავტრიალდეთ.

ზრდილობით სავსე დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის მუ-შებმა ხელები გადაიკაპიწეს, კისერში წამწვდნენ და მართლაც ბი-ძაჩემი ხახულივით ამომხდიდნენ სულს, გვერდზე რომ არ გავხტო-მოდი და თავქუდმოგლეჯილს 10 წამში 60 მეტრი არ განმევითა-რებინა.

— არიქა, ბიჭებო, არ გაუშვათ! — გასძახეს ჩემმა მომდევრებმა სხვა მუშებს და, მართლაც, სულხანიშვილმა და არაქელოვმა სასწ-რაფოდ გადამიჭრეს გზა.

— ვაიმე, მკლავენ!.. — ამოვიბღავლე საცოდავად და გულწა-სული ჩავიკეცე. მეტი აღარაფერი მახსოვს. გონზე მაშინღა მოვედი, როცა სტალინის სახელობის ბაზრიდან მოტანილი სეროფიანი წყალი გადამასხეს პირზე. (თურმე სატვირთო სადგურში წყალი სინდისივით ძნელი საშოვნელი ყოფილა!).

თვალი გავახილე თუ არა, თბილისის რკინიგზის სადგურის სატ-ვირთო ეზოს უფროსის მოადგილემ, დონდუამ, მხარზე მომითათუ-ნა ხელი და თანაგრძნობით ჩაილაპარაკა:

— რა მოხდა, ბოშო, ეს მუშები სულ ასე ძალადობენ, ტყავს აძრობენ ხალხს და ამათ გულისთვის თავი რავა უნდა მოიკლა?!

სახლამდე ერთმა ღვთისნიერმა, ჩემსავით სატვირთო სადგურში დატანჯულმა მიხეილ ხელაშვილმა მიმაცილა და სამშვიდობოს გასულს მითხრა:

— კარგად გადარჩი, ძმაო, მე მაგათ ჩხუბში მოსკოვიდან მიღე-ბული გარნიტურის სკამები დავკარგე და დღესაც მათ ძებნაში ვარ.

ასე ძვირი დამიჯდა საცოდავი ბიძაჩემი, ხახულის ხსოვნის პატი-ვისცემა. ღმერთმა ულხინოს მის სულს, მაინც არ ვაყვედრი.

ქარაშოტი

ვ. კახელიშვილი

გეოგრაფიის ლექციაზე

ნახ. ზ. წერეთლისა

— მომინახეთ ვოლგა სად არის?

— ინსტიტუტში მომიყვანა და სახლში წავიდა, პატივ-ცემულო პროფესორო!

უკვდავი სტრიქონებით

„თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი,

ატმის რტოო, დაღალულო რტოო!“ — უთუოდ მოგაგონდება XX საუკუნის გენიის გალაკტიონის ეს უკვდავი სტრიქონები, თუ ვინიცობაა, პოეზიის ტრფიალიცა ხარ და ქ. ცხაკაიადანაც ავტობუსით ან გეგეჭკორში, ან დიდი ჭყონში, ან ფოცხოში, ან უშაფათში, ან ჩხოროწყუში მოისურვებ წასვლას.

მშვენიერი ქალაქია და დღითიდღეც მშვენიერდება ქალაქი ცხაკაია. მაგრამ თავზე ქოლგა მაინც არა აქვს გადაფარებული და, როცა წვიმს და თოვს, როცა ცრის ან ქარი ქრის, როცა სინესტე ძვალრბილში ატანს, ავტობუსის მოლოდინში, გინდა იძულებული ხარ, ავტოსადგურს შეაფარო თავი.

ავტოსადგურიო ვამბობთ, თორემ ერთი პატარა ფარდულის მაგვარი ოთახია იგი. მგზავრები რომ შიგ არ ეტევა, ეს სათანადო ორგანოებსაც უნახავთ და ის ღონისძიება გაუტარებიათ, რომ მისი ერთი კუთხე „საქწიგნის“ მაღაზიისათვის დაუთმიათ, რამეთუ, კარგ დარში, გარეთაც კარგად მოიცდიან მგზავრები, წიგნებსაც იყიდიან და განათლდებიანო.

ცემენტის ამონგრეულ იატაკში თუ ფეხი ჩაგივარდათ, ან ფეხი მოგტყდებათ, ან კისერი, მაგრამ გამკითხავი ვინღაა! ბილეთის აღების დრო რომ მოაწევს, ატყდება ჯიკავი და წადექ-უკუდექობა. თუ ძალა შეგწევს და გული გერჩის, თუ არც ქალს დავრიდები და არც მოხუცს, თუ სინდისზე ხელს აიღებ და ახალაწყვეტილ გიჟს დამგვანები, უსათუოდ გაარღვევ ბილეთის აღების მსურველთა მასას და მოლარის სარკმელთან აღმოჩნდები... მაგრამ შენისთანა ბედნიერი ბევრია განა? ავტოსადგურის მუშაკები ჩაკეტილში არიან და წესრიგის დასაცავად ყურებს არ იბერტყავენ, ალბათ, ყველა მგზავრი გიჟი ჭგონიათ და თავს „გიჟი მიუშვი ნებასა“-ს ფილოსოფიით იმშვიდებენ.

ავტოსადგურის უფროსი, ა. ჟვანია, მგზავრებისათვის რაღას მოიცლის, როცა მძღოლებთან ხვეწნა-მუდარაში გადის მისი მოღვაწეობის საუკეთესო საათები და დღეები.

ფოცხო-უშაფათის მიმართულებით არავის არ უნდა წასვლა.

— თუ ვინიცობაა წახვედი და უკან დაბრუნება მოახერხე, — ერთის სიტყვით, თუ გადარჩი... სამი-ოთხი დღე რემონტში უნდა დააყენო მანქანა და თვითონაც უნდა „შერემონტდე“, რადგანაც ისეთ გზაზე გიწევს სიარული, რომ მანქანაზე ნაკლებ დანგრეული არც შენ იქნებიო, — ამბობენ მძღოლები.

ავტოსადგურში შექმნილ აურზაურს და აყალმაყალს გვერდით მოთავსებულ სასაუზმეში მოქეიფეთა ღრიანცელიც ერთვის. თუმცა ავტოსადგურებში მაგარი სასმელებით ვაჭრობა აკრძალულია კანონით, მაგრამ, ეს კანონი, ალბათ, ცხაკაიასათვის არ ყოფილა დაწერილი, ოღონდ სარფიანად გაასაღონ ბუნებრივი თუ ხელოვნური ღვინო და არაყი და, ვინ დაგიდევს, მგზავრები წუხდებიან თუ არა.

ნეტავი, რას ფიქრობს ცხაკაიას რაისაგზაო განყოფილება უშაფათამდე გზის გაყვანაზე, ან ქ. ცხაკაიას ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი ლ. შეროზია რას ფიქრობს ავტოსადგურის გაფართოებაზე და კეთილმოწყობაზე.

იქნება უკვდავი გალაკტიონის უკვდავ სიტყვებს იმეორებენ:

„თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი...“

გამგზელი

ნახ. გ. ფირცხალავასი

— მსუბუქი მუსიკის ავტორია და შეხედე რა მძიმედ მოაბიჯებს!

მარკოზის მათემატიკა

დიდი მოქეიფე კაცი არა ვარ, მაგრამ, როცა რამდენიმე ძველი მეგობარი მოვიყრით თავს, როცა ტკბილი ჭუკჭუკის საღერღელი ამეშლება, მეც ვერ ვუძლებ რესტორნის ცდუნებას და გული იქითკენ მიმიწევს.

იმ მზიან კვირასაც ასე მოხდა. მე ჩემი ექვსი მეგობრით მარიფათიანად შევედით „ინტურისტის“ საზაფხულო რესტორანში, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, როგორც იქნა, მოვნახეთ თავისუფალი მაგიდა და...

— ოფიციანტ!

— ამ საათში, ბატონო!

და, ბოლოს, ჩვენც მოგვაქცია ყურადღება:

— რას მიირთმევთ, ბატონო, რა გესიამოვნებათ. — მოგვმართა მარკოზა დაუშვილმა ზრდილობიანად (ჩვენი ოფიციანტის სახელი და გვარია).

ჩვენ შეკვეთა მივეცით. მარკოზა ადგილიდან სწრაფად მოწყდა და დაგვიანებით მოგვიტანა პურ-მარილი. საქმელმა დიდხანს გასტანა, მარკოზას სწრაფი მომსახურების წყალობით.

დროსტარებამ ფინალს მიაღწია და დადგა ყველაზე დრამატული მომენტი.

— ანგარიში! — დავიძახე მე გაბზარული ხმით.

— ამ საათში! — მოგვესმა მარკოზას რიხიანი ხმა.

თვალებს არ დავუჯერეთ და შევეკითხეთ:

— ესე იგი, რამდენი?

— ესე იგი, სამოცდაათი!

ახლა მეტი გზა აღარ გვქონდა. დავრწმუნდით, რომ ჩვენი თვალიცა და ყურიც ნორმალურია, მაგრამ ახლა გონებით აღარ ვუჯერებდით აშკარად გაზრდილ ანგარიშს.

— აჰ, ყოვლად შეუძლებელია! — იკივლა ჩემმა მეგობარმა (ასე კარგია მეგობარი გაჭირვების დროს).

— ანგარიში დაწერე და ისე მოგვიტანე. — თავი გამოიდო მეორე მეგობარმაც.

მარკოზას ნირი შეეცვალა და უხალისოდ დაიწყო ანგარიშის წერა.

ალაჰმა უწყის, რამდენად სწორად იანგარიშა მარკოზამ ხელმეორედ, მაგრამ ოცი მანეთით მაინც გაზრდილი აღმოჩნდა ანგარიში.

ვინ იცის, დღეში რამდენ მაგიდას ისტუმრებს მარკოზა და რამდენი ზედმეტი ამოდის მომხმარებლის ჯიბიდან და რამდენი ჩადის მის ქისაში, თუმცა, ბოროტი ენები ამბობენ, მარტო მარკოზა კი არ იტოვებს ამ წანაგლეჯს, სხვებიც ჰყავს მონაწილეო.

მართალი რომ თქვას კაცმა, მარტო „ინტურისტის“ საზაფხულო ბაღში როდია ასე. მერე რა ადვილად შეიძლება ამის მოგვარება. აი სულ უბრალო რეცეპტი: ყოველ მაგიდაზე დაიდოს მენიუ, სადაც შავით თეთრზე იქნება დაწერილი, თუ რა სახის პროდუქტი როგორ იყიდება, გარდა ამისა, კატეგორიულად მოეთხოვოს მოლარეს, რათა ზუსტი ანგარიში მისცენ ოფიციანტებს, ოფიციანტებმა კი, თავის მხრივ, მომხმარებელს. განა ამის გაკეთება შეუძლებელია? სრულიადაც არა, მოსკოვსა და მთელ რიგ ქალაქებში ხომ ასე აკეთებენ!

მაშ რატომ არ აქცევენ ჩვენთან ამ საქმეს ყურადღებას და საშუალებას აძლევენ მარკოზისთანა უსინდისო ადამიანებს განუკითხავად აფათურონ ხელი მომხმარებლის ჯიბეში.

ვ. ნიკოლოზიშვილი

ვაცვაკი ვარცხიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემლის ნათელი ვარსკვლავი
არასდროს დაიბინდება,
ჩვენი პარტიის რჩეულნო,
თქვენს თავგირილობას დიდება.

ცას მიბჯენია ბრძოლიდები
ზეციადან ზე ალმართული,
რათა ავფინდით, დაგფშვნიდით,
სართულს ემატოს სართული,

მიეფოთ ალდესავით მაგარი,
ქლიერი, მკლავგაგმართული,
აკა, მიიდ, მამული,
მტკიცე ფოლადი ქართული.

კირობას დიგს საკართველო
ბედნიერი, მხარგაულილი,
არ მოგაკლოს „შავი ოქრო“ —

მარგანეცი, ქვანახშირი
და შვიდფლოდფი ეს დოვლათი
ერთი ათად გაახშიროს.

ქუთაითურგა ავტოეგა
გადასასრის ფთა და ფფელო,
კირობას დიგს ქუთაისი,
ასაგელოს საკართველო.

ამ შვიდფლოდფი იფუშაოს
უფრო მეტის გაკანეგით,
რათა ყველგან გუგუნეგდნენ
ქუთაითური მანქანეგი.

კომუნიზმისკენ მივდიგართ
გენა ტრიალა უფლეგით, —
თბილისურ ელგამაკლეგით

მივჭრიგართ, მივეუფრეგით,
ალარც უფელი სტირდეგა
და ალარც აპეურეგი.

ჯერ არავის უთქვამს ასეთი
სიტყვა სწორი და მართალი,
მართლაც არა ყოველ ჩვენს ჩაის
მთელს დღეიაზე გადალი.
ჩაითა შორის იგია

მეთაური და სარდალი.
ფელს იფდენ ფოთოლს დაბიკრეფფ,
ჩვენგან ილეგდნენ გაგალითს,
უხვად მოგცეგდფ, მამულო,
„მფრანი ოქროს“ და მარგალიტს.

შენ ცხოვრეგა გვიფზიანი,
დაგვიტკბე და გვიგალაგე,
ფელს მფრანის და ბუფუფრის
უხვ მოსავალს გიკეტავეგ.
ვენაზეგის დაფარულა
მზეთაკარა საკართველო,

რომ მუდამ მსგავ საყვარელი
ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელო,
რომ ცხოვრეგა გადიოდეს
სიტკბოსა და სიამფი,
რომ ჩვენს სუფრას ამშვენეგდეს
ხვანჩკარა და ოჯალეფი.

ჩვენი დიადი სამფოგლოს
თავგადაკლეგულ მფენეგლეგს
სწორეფლეგანი ნაყოფიით
ეხვ სუფრეგს დაუფშვენეგენ

დაფნით, ნარინჯით, თურინჯით,
მანდარინით თუ ლიმონით
საკვეყნოდ სახელგანთქმული
შავი ზღვის სანაპირონი.

კარგი ყურით და მარილით
აღრეც მიყავით ქეგული,
ახლა სიმინდიც ბევრი გვაკვს
სუფრაზე ჩარიგეგული,

ფეკარო ხვამის და ბარ
დაულეველი სიმდიდრ
ნაფუტხიფ ულგავით
მოდის ქართული სიმ

ვიკითხეთ

○ მილიციელი რომ არ იდგეს მიწისქვეშა გასასვლელთან, ქვეშ გასვლას ამჯობინებდნენ ზოგიერთები, თუ ზევიდან გადარბენას?

○ ჩაჯდებოდნენ თუ არა მოქალაქენი ტაქსში, რომ შოფრებმა იმაზე მეტი არ გამოართვან, რასაც მრიცხველი უჩვენებს და, საერთოდ, უნდა დაზუსტდეს, ვის უნა რცხვენოდეს: ზედმეტის გადამხდელს, თუ, ვინც ზედმეტს ახდევინებს, იქნებ ორივეს ერთად?

○ ხომ არ შეწყდება ფილმების გამოშვება, თუ სცენარი რეჟისორ-თანაავტორის გარეშე შეიქმნება და მარტო ერთი ავტორი ეყოლება?

○ რამდენია ისეთი აბითურიენტი, რომელიც დედიკოს, მამიკოს, ბებიას, ბაბუას და სხვათა დახმარების გარეშე ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში?

○ იყვნენ და არიან თუ არა ისეთი პოეტები, რომლებსაც ლექსების ტომეულები არ შეუქმნიათ?

○ თუ „დინამოს" სტადიონის მშენებლობა გაჭიანურდა, საჭირო ხომ არ გახდება ვარდუა მკითხავი და შიგ სურამის ციხესავით ვინმეს ჩატანება?

○ დაიდგმება თუ არა ვაჟა ფშაველას ძეგლი თბილისში, თუ ისიც გურამიშვილივით მოლოდინს ამჯობინებს. აბა გაიხსენეთ, ამას ხომ არ ეხმაურება ვაჟას „მთანი მაღალნი" — იდგნენ და ელოდნენ, უსაზღვრო იყო მათი ლოდინიო.

ე. მესხი

კარაქი და მაგნიტი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაგნიტი იზიდავს რკინას და, რა თქმა უნდა, რკინის ნივთსაც. ასე იყო დღემდე. მაგრამ სპირიდონ გიორგის ძე ჯალიაშვილმა ყირამალა დააყენა ეს საქვეყნოდ ცნობილი დებულება და დაამტკიცა, რომ მაგნიტმა შეიძლება მიიზიდოს ფულიც კი, ეს იქნება ლითონისა თუ ქაღალდისა. ამისათვის საჭირო მხოლოდ ნამუსზე ხელის აღება და საქმე იმ წამსვე მოგვარდება. **დიახ, ნამუსზე ხელის აღება!**

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს თბილკვებვაჭრობის № 106 კიოსკის გამყიდველმა სპირიდონმა, იშოვნა სულ რაღაც ოცდაათგრამიანი მაგნიტი და, „წკაპ" მიარტყა ქვევიდან სასწორს. კარაქი ოცდაათი გრამით ნაკლები აიწონა და აი წარმოიშვა ფულის შოვნის ახალი, მარტივი, მაგრამ მეტად სარფიანი ფორმულა: მაგნიტი + სასწორი = ფულს. დიდხანს ჰქონდა დანერგილი პრაქტიკაში სპირიდონ ჯალიაშვილს ეს ფორმულა, მაგრამ ამა წლის ოცდარვა აგვისტოს, სპირიდონის მიერ აღმოჩენილი ფორმულა გაიხსნა და საქვეყნოდ ცნობილი გახდა სწორედ მაშინ, როდესაც სპირიდონმა ორას გრამ კარაქში ოცდათხუთმეტი გრამი ჩამოცანცქლა პოლინა გრძელიშვილს.

იმედია, სპირიდონ ჯალიაშვილის ამ დამსახურებას უყურადღებოდ არ დატოვებენ სათანადო ორგანიზაციები.

ა. ფუხურაძე



— საავადმყოფოს ფურცელში გიწერთ, რომ კუჭის გაგანიერება გაქვთ!
— არ დამლუპოთ, ექიმო, მზარეულობიდან მომხსნიან!

ტოტჩამომტყდარი მწყერივნული

მეც კაცი ვარ და ჯიბეები სულაც არა მაქვს ამოკერილი. ისეთი მომლხენი ვარ, ერთ სუფრად ვღირვარ. უდროო დროს სახლში რომ მიმიკაკუნებენ, ვიცი, სადმე გაშლილი სუფრა მიმელის. მორჩილად ვხრი თავს და, შენ ხარ ჩემი ბატონი, მივყვები.

ტკბილია სხვისი პურ-მარილი. თავს არხეინად გრძნობ. როგორღაც შენ უფრო შეგერგება ყველაფერი, ვიდრე მასპინძელს. ამიტომაც სხვის პურ-მარილს უფრო ვეტანები, რადგანაც, რაც შემერგება, ალბათ, მერგება კიდეც. კარგს ვსვამ და კარგს ვჭამ და, უჯიშო ხომ არა ვარ, დედის რძესავით არ შემერგოს.

დიახ, ტკბილია სხვისი პურ-მარილი და სინდისიც კარგი საქონელია, თანაც, ტყუილად არ არის ნათქვამი: გამიშვი და გაგიშვებო.

ათჯერ შენთან რომ ვიქეიფებ, ერთხელ მეც უნდა მოვიქაჩლო თავი, თუ მინდა, მეთერთმეტეჯერაც მასვა, მაჭამო, მალხინო, ჩემზედაც ხომ უნდა თქვან: კაცია და ქუდი ხურავსო (აქ მხედველობაში სულაც არაა მისაღები, რომ ზამთარ-ზაფხულ თავშიშველი დავდივარ).

ჰოდა, ამას წინათ, ერთი კარგი მეგობარი შემხვდა. ახალმიღებულმა ხელფასმა ენა ამიქავა და: წავიდეთ, თითო ჭიქა გადავკრათ, — ვუთხარი.

საუკეთესო საუზმე, ცვრიანი მწვადები, შებრაწული წიწილები... მედალოსანი ღვინო და გიყვარდეს მოლხენა.

მე უნდა გადამეხადა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ცუდ გუნებაზე სულაც არ დავმდგარვარ. მუდამ სხვისი ჯიბის შემყურე როგორ უნდა ვიყო, ერთხელ მეც ვასიამოვნო რომელიმე ჩემი განუყრელი მეგობარი და თანამეინახე-მეთქი და, რაც შეიძლებოდა, ყველაფერს კარგსა და ძვირფასს ვუკვეთავდი.

ბოლოს ანგარიში მოვითხოვე.

ჩემი ვარაუდით 40-50 მანეთს მაინც მიუკაკუნებდა დანახარჯი, თუ ვინიცობაა მომტანი „ქრისტიანულად" გვიანგარიშებდა.

ანგარიში წარმომიდგინეს.

დავხედე და, ნეტავი მეხი დამცემოდა და ეგ არ მენახა.

გავშრი კაცი. ენა დამება. მუხლები მოგეკვეთა.

ბედი უნდა ყველაფერს. თითქო ცა და ქვეყანა მოლაპარაკებულია, მე მომჭრას თავი!

ახლა მე ის მწყერი ვიყავი, ერთხელ რომ შეჯდა ტოტზე და ისიც ჩამოუტყდა.

სადაური 40-50 მანეთი! ჯამი 12 მანეთსა და ათ შაურს შეადგენდა და ისიც კაპიკნაკლებს.

— შეცდომაა, — ვეუბნები.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ!

არაფერი იყო გამორჩენილი, არაფერი იყო დამატებული, არც მწვადი იყო დამწვარი და არც შამფური.

თორმეტმანეთიანი პურ-მარილი აბა რა სასსენებელია. შემარცხვინა კაცი იმ ოჯახქორმა, რაღა მაინცდამაინც მაშინ იანგარიშა სწორად, როცა მე მინდოდა ჯიბეები დამეხია, რა პურ-მარილი წამამწარა!

თავჩაღუნული წავბარბაცდი შინისაკენ...

ჩემი მეგობარი რევიზორი ეგონათ.

ბიმბო

ნიანგი

ფოტოაპარატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურაცხყოფილნი

ნაგაზი კატას თავგამოდებით მისდევდა. გზაზე ბურვაკმა შეაჩერა:

— რას ერჩი, რა დაგიშავა?

— მამაძაღლი მიწოდა.

— ეცი, ახია მაგაზე!.. ერთხელ მეც დამიძახა... ღორისშვილოო.

ა. ბასილაია

ალიონზე

— ერთ სადღეგრძელოსაც შევსვამ, იმედია გამიტანთ, — თქვა თამადამ.

— გაგიტანთ, ბატონო, გაგიტანთ!

სადგურის ბაქანზე

— ამხანაგო, სად არის ცნობათა ბიურო?

— მე რა, ცნობათა ბიურო ვარ?

გადასასვლელიდან მოშორებით

— მეგობარო, რატომ გადასასვლელზე არ გადადიხართ?

— შორსაა და მიტომ.

— მერე, არ გაგიგია: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო?

— ახლა შინ არ მივდივარ.

ღამის ოთხ საათზე

ღამით ზედიზედ გაისმა ტელეფონის ზარი. ბინის პატრონი ძილგამფრთხალი გამოვიდა მეორე ოთახში და...

— ალო, გისმენთ... ალო, გისმენთ! რომელი ხარ, კაცო, გამეცი ხმა!

— გაბუტული ვარ თქვენთან! — იყო პასუხი.

გ. კაზაროვი

აღელვებული

ფიქრები სარეცხი მანქანასავით ტრიალებდნენ თავში და დედამიწაც ბრუნავდა, მარა ისე ბრუნავდა, რომ ღამე იყო.

ცოლს ეძინა, მარა ისე ეძინა, რომ, სარეცხი მანქანის გარდა, სხვა რამეზე რომ მეფიქრა, უთუოდ გაეღვიძებოდა.

მარა მე მაინც მოვახერხე და ვიფიქრე იმ პერიოდზე, როდესაც ელექტრობა ჯერ კიდევ არ იყო გამჯდარი კედლებში, ვიფიქრე ჩემს წინაპარ კოლეგა-ქმრებზე.

რა ბედნიერები იყვნენ (არ თქვა ახლა „მარა“). არა და ბინაში ადგილი არ არის, რომ „შტეპსელი“ არ ეკეთოს. ხანდახან სახლი ფიზიკის კაბინეტი მგონია:

მიმღები, მაგნიტოლა, ტელევიზორი, მაცივარი, ოთხი ანტენა. მტვერსასრუტი, იატაკმწმენდი, ელექტროქურა, ელექტრომპარსავი. სტაბილიზატორი, ვენტილატორი, ტრანსფორმატორი...

კმარა... კმარა „ბოლოს და ბოლოს, მეც კაცი ვარ და „შჩოტჩიკი“ მიდგას.

ნუკრი ლელაშვილი

861 61
11/4

ნიანგს დიდი სურვილი აქვს, რომ ყველა სენსაციური ამბავი და სიახლე პირველმა გაიგოს. მაგრამ ამჯერად მას გეგეჭკორის რაიონის ნაყინის გამყიდველებმა აჯობეს. მათ, როგორც ჩანს, კარგად იციან ქართული ანბანი, ხოლო რუსული სიტყვები. არ გჯერათ? აგერ, ბატონო, მაგალითი. ვერ აწერია ყუთს ქართულად „მაროჟნი“ თუ რა.

ასე არ არის გაგრის რკინიგზის სადგურის **უმფროსო?** ალბათ გაგრის სადგურის **უმფროსს** გაუკვირდება—მე რა შუაში ვარო, მაგრამ **უმფრო** დაკვირვებით თუ წაიკითხავს ამ აბრას ამხანაგი **უმფროსი**, მიხვდება თუ რაშია საქმე.

ეს არ არის ახტალა, ეს არ არის მენჯი. ეს არის სოხუმის ჭავჭავაძის ქუჩა. აქ სპეციალურად მუშაობენ მენჯის ძვლის ამოგდებაზე. მკურნალობის მეთოდი ასეთია: ჩაეფლობა თუ არა ტალახში თქვენი მანქანა, გადმოდით მანქანიდან, გაიხადეთ ფეხსაცმელები, აიკაპიწეთ შარვლის ტოტები, თუ ტოტები ძალიან ვიწრო გაქვთ, საერთოდ გაიხადეთ და შედით ტალახში, გაიარეთ რამდენიმე მეტრი და მენჯის ძვალი ისე ამოგვარდებათ, ვერავითარი ახტალა, წყალტუბო და მენჯი ვეღარ გიშველით. ჭავჭავაძის ქუჩის ეს ახალი სამკურნალო მუშაობს წელიწადის ნებისმიერ დროს.

სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკებო, ისარგებლეთ ახალი სამკურნალო დაწესებულებით!

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 29/IX-1961 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1701, უე 02670. ტირაჟი 40000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვოლგის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ჰიდროელექტროსადგური

რუსეთის დედა-მდინარეზე — ვოლგაზე, მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი ახალი შუქურა კომუნიზმისა, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი, პარტიის XXII ყრილობის სახელობის ჰესი.

დენის დარტყმა.

ნახ. თ. სამსონაძისა